№1816 2015 წლის 27 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს მარკეტინგული და სარეკლამო კამპანიების წარმოების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ საქართველოს შემოდგომისა და ზამთრის კომპლექსური მარკეტინგული და სარეკლამო კამპანიების წარმოების, შიდა ტურიზმის სტიმულირების მიზნით ღონისძიებების ორგანიზების, ასევე ზაფხულის სარეკლამო ვიდეოკლიპის გადაღების მიზნით, შესაბამისი საქონლისა და მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურებებისა და საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელი ხელშეკრულებების მიმართ არ გავრცელდეს ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლითა და 21-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები.

3. შესაბამისმა უწყებებმა უზრუნველყონ სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით, 3 960 000 (სამი მილიონ ცხრაას სამოცი ათასი) აშშ დოლარის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოძიება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**